

ვაშნარში ჩატარებული მორიგი არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები

ვაჟა სადრაძე: კალიან დიდი კვლია, ნოქალაქის ციხეობის (ჯიხაქვინჯი) შედეგ ასეთი კვლი დასავლეთ საქართველოში არ არის

ეს მასალა გასულ პარაკვეს მოვამზადეთ, შაბათს ვაშნარში დამთავრდა მორიგი არქეოლოგიური ექსპედიცია (ექსპედიციის ხელმძღვანელი – ვაჟა სადრაძე, გურიის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, პროფესორი; წევრები – მერაბ ძნელაძე ქართულ ტაძარ-მონასტრების აღმშენებლობის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და სპ-ის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის პრეზიდენტი, პროფესორი; არქეოლოგები მედეა ღლონტი, ელგუჯა ლილივაშვილი და ირაკლი ანჩაბაძე). საკარაულოდ, კვირას კი ძეგლზე მომუშავე არქეოლოგებს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა

და შემოქმედის ეპარქიის ხელმძღვანელების თანდასწრებით, უნდა გაეხსნათ გათხრილ ბაზილიკაში აღმოჩენილი მარტირეოში, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფდა ვაშნარის ძეგლის უნიკალურობას. პროფესორ ვაჟა სადრაძის თქმით, თავის დროზე ნიკო ბერძენიშვილი აღნიშნავდა, რომ არქეოლოგიური კვლევა ძიება უნდა დაიწყო მცხეთითა და ვაშნარით: „თავის დროზე ნიკო ბერძენიშვილი თავისი საბჭოს წევრებს მიუთითებდა, რომ არქეოლოგიური კვლევა-ძიება უნდა დაიწყო მცხეთითა და ვაშნარით. ძალიან დიდი ძეგლია, ნოქალაქის ციხეო-

ჯის (ჯიხაქვინჯი) შემდეგ, ასეთი ძეგლი დასავლეთ საქართველოში არ არის. პირველი – რაც ახლა აქ მოვიკვლიეთ, ეს არის სამნავიანი ბაზილიკა, რომელიც ჩანდა როგორც დებოუ დე მონტერეს დროს, ისე ბაქრადის დროს, ბათუმის ექსპედიციის დროს, მაშინაც, როცა ბერძენიშვილი იყო ჩამოსული 1963 წელს, დაუთვალელებათ, მაგრამ გათხრები მომავლისთვის გადაუწყვეტიათ, სამწუხაროდ, 1965 წელს ბერძენიშვილი გარდაიცვალა და მეორე – მარტირეოში, წმინდანისთვის საიქიოში საცხოვრებელი ნაგებობა. აქ



▶▶▶ გვ-2

ა ლ ი რ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .

ყოველკვირეული გამოსვლა. № 20 (10355) 10 აპრილი 2020 წ. ფასი 60 თეთრი.

გაზეთი გამომცემი 1931 წლის 5 იანვრიდან

ანჯორ მრეწომეობის 80 წლის იუბილე



10 აპრილს, 19:00 საათზე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დრამატული თეატრის თაღვში ქართველი გამომცემელი მომხმარებლის, ლობჯანიძის, კომპოზიტორის, მსოფლიოს სხვადასხვა არქივში მიმოხილული ქართული სიგელგებების ჩანაწერების მომხმარებლისა და გამომცემლის, ანსაგაბაძის – „რუსთავისა“ და „მართვას“ დამამართებლის, ანჯორ მრეწომეობის 80 წლის იუბილე აღინიშნება. ღონისძიებაზე ქართულ ტრადიციულ სიგელგებებს შინაგანად ანსაგაბაძე: „რუსთავი“, „ბასიანი“, „რიჰო“, „შილდა“, ბალოზის უნივერსიტეტის გოგონათა გუნდი. ტრიოები: „შალვა ჩამო“, „შემოქმედი“ და „ხელსავე“. იუბილეზე გამოიფინება ანჯორ მრეწომეობის ცხოვრების და შემოქმედების ამსახველი ფოტოგალერეა.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან: საქველმოქმედო ფონდი „ქართული ბალოზა“ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

დეპუტატმა მარიამ ჩხიკვიანიამ დეპუტატ ღვთისმშობელს „ორიანი დაუშვარა“

ალიონი. 5 აპრილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე სულ ორი საკითხი განიხილეს, თუმცა სხდომა საინტერესოდ წარიმართა. პირველ საკითხად ოზურგეთის მერიის მიერ წარმოდგენილ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამუშავების შესახებ“ იმსჯელეს. პროექტის მიხედვით მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობად მიჩნეული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ ერთეულის ქუჩებზე, მოედნებზე, ტროტუარებსა და გზისპირებზე, ასევე დასასვენებელ ადგილებში მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან ვაჭრობა. პროექტის წარმომდგენის აღნიშნული წესი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის იერსახის დაცვას, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ფეხით მოსიარულეთათვის გადაადგილების შეზღუდვის თავიდან აცილებას, სურსათის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და მოსახლეობის ინტერესების დაცვას. ლამა თავაძემ ჩამოთვალა მცირე სტაციონარული არქიტექტურული ფორმებიდან და არასტაციონარული კონსტრუქციებიდან დროებითი ვაჭრობისთვის დასაშვები



საქონლის ნომენკლატურა: ყურნალ-გაზეთები, წიგნები, ნახატები, სუვენირები და სხვა ნელნაკეთი ნივთები, ყვავილები; სეზონური ვაჭრობა გაზიანი გამაგრებული სასმელებით (ბურაჩი), ნაყინით; არასტაციონარული კონსტრუქციებიდან კი ხილ-ბოსტნეული და ა.შ. საკითხის გარშემო კრიტიკული შეკითხვები ჰქონდათ როგორც პოზიციის, ისე ოპოზიციის წარმომადგენელ დეპუტატებს. აღნიშნული საკითხის გარშემო კრიტიკული შენიშვნები გააკეთა საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომე

არე ლავრენტი ბიგვაძემ: –ვიღაც-ვიღაცებს არ უნდათ გარე ვაჭრობის მოწესრიგება. გარევაჭრობის თემა უნდა იყოს კოორდინირებული საკრებულოსა და მერიას შორის. ჩვენს კომისიას შენიშვნები, რეკომენდაციები და წინადადებები ჰქონდა აღნიშნული პროექტის მიმართ, სადაც აღნიშნავდით, რომ გარევაჭრობის წესში კონკრეტულად უნდა იყოს აღნიშნული ის ადგილები, სადაც საერთოდ აკრძალულია გარე ვაჭრობის მოწესრიგება. თუკი უახლოეს ერთ კვირაში მოხდება გარევაჭრობის მოწესრიგება, არ გამოიყოფა აკრძალული ქუჩები,

წინააღმდეგ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ აქ რაღაც სხვა მიზანი დევს – განაცხადა ლავრენტი ბიგვაძემ. სხდომაზე ოპოზიციონერმა დეპუტატმაც გამოხატეს თავიანთი პოზიცია. „ლეიბორისტ“ დეპუტატის დავით მამალაძის აზრით, ძირითადად გურიის ქუჩაზე, „მაგნიტის“ გვერდით გარევაჭრობაზე იყო საუბარი. ამ ბოლო სხდომებზე ოზურგეთის მერის მიმართ კრიტიკული გახდა სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარი, „ნაცმოძრაობის“ დეპუტატი დავით მჭავანაძე. –გასაკვირა, რომ გარე-

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
 - მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
 - 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
 - ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
 - შიდა შავთერ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
 - პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
 - მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
 - სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
 - განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუთორიზაციის შემთხვევაში ინფორმაციის განსაზღვრებაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურების კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
 gia_77@mail.ru
 551 576060
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
 ტელ: 558 499 100
 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
 გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანიში“
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
 «ალიონით»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 49 სოფელი მაღალი ხარისხის სწრაფ ინტერნეტს მიიღებს



ალიონი. როგორც ვწერდით, 23 ივლისს, მთავრობის ადმინისტრაციაში მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 8 საკითხი განიხილა. ერთ-ერთ საკითხად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინტერნეტის საკითხი განიხილეს. როგორც საქართველოს პრე-

მიერ-მინისტრმა **გიორგი გახარია** განახილეს, რამდენიმე თვეში ოზურგეთის 49 დასახლებული პუნქტი, სადაც 8 500 ოჯახზე მეტი ცხოვრობს, მაღალი ხარისხის, სწრაფ ინტერნეტს მიიღებს. პროექტი იძლევა ისეთ ფართოზოლოვან მომსახურებებთან წვდომის შესაძლებლობას, როგორც ბიცა: ელექტრონული განათლება, ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული კომერცია და სხვა თანამედროვე სერვისები - ნებისმიერ რეგიონში, სადაც აქამდე მსგავსი მომსახურება არ ყოფილა. 4 აგვისტოს, ოზურგეთის კულტურის პარკში აღნიშნული პროექტის პრეზენტაცია გაიმართა. გურიის გუბერნატორმა **ზურაბ ნასარაია** შეკრებილთ საპილოტე ქსელის მშენებლობის დაწყება მოულოცა და პროექტის გარშემო ისაუბრა. „ვიწყებთ საყოველთაო ინტერნეტის ხარისხის საპილოტე ქსელის მშენებლობას, პროგრამის საპილოტე რეგიონის შერჩევის კრიტერიუმისა და თეთრი ზონის სამიზნე გეოგრაფიულ არეალში არსებული დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობის რაოდენობის, ასევე პროექტის შემჭიდრობულ ვადებში განხორციელების შესაძლებლობის გათვალისწინებით. საქართველოში 5 000 კმ ინფრასტრუქტურა მოეწყობა, რომლითაც 500 000 ადამიანი ისარგებლებს, ხოლო გურიის რეგიონის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (49 დასახლებული პუნქტი, 8 516 მინამეურნეობა) 145 კმ ოპტიკური კაბელი ჩაიდება, რომლითაც 28 576 მოსახლე ისარგებლებს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამიზნე არეალში ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის პროექტირება-მშენებლობის შპს „პარკუს გვერდი“ განხორციელებს. აღნიშნულმა კომპანიამ ხელშეკრულება უკვე გააფორმა „ოფუნ ნეტთან“. საპილოტე ქსელის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს - განაცხადა საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **აკაკი საღირაშვილი**. პრეზენტაციაზე სიტყვებით გამოვიდნენ დასახლებული კომპანიების წარმომადგენლები. მათ უპასუხეს დასმულ შეკითხვებსაც.

თვა ზულუკიანი გომისმთას ესტუმრა



მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა გომისმთის დასახლებაში მიწის სისტემური რეგისტრაცია დაიწყო. გომისმთაზე მიწის სისტემური რეგისტრაციის პროექტის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო ვიცე-პრემიერი, ოზურგეთის მინისტრი **თვა ზულუკიანი**. მინისტრმა მიწის სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების შესახებ ინფორმაცია გომისმთის მცხოვრებთ პირადად გააცნო და საინფორმაციო მასალები გადასცა. საჯარო რეესტრის საველე

ჯგუფებმა მინისტრს გაუზიარეს ინფორმაცია საკადასტრო აზომების ტექნიკურ საკითხებზე, მათ შორის, რელიეფური სირთულეებსა და მეტეოროლოგიურ პირობებზე, გეოდეზიური ხელსაწყოების მუშაობის სპეციფიკასა და სხვა პროცედურულ დეტალებზე. მიუხედავად არეალის კომპლექსური ხასიათისა, საამზომველო სამუშაოები აგვისტოს ბოლოსთვის უნდა დასრულდეს. მინისტრთან ერთად სისტემური რეგისტრაციის მოსამზადებელი სამუშაოების მიმდინარეობას გურიის მხარის რწმუნებული **ზურაბ ნასარაია** გაეცნო.

გაზნარში ჩატარებული მორიგი არქეოლოგიური გათხრების წინასწარი შედეგები

გაშა საღრაძე: კალიან ღიღი კვლია, ნოქალაქების ციხეობის (ჯინ-აქვინჯი) შედეგ ასეთი კვლევა დასავლეთ საქართველოში არ არის

კიდევ არის ერთი საინტერესო ლეგალი - ორმაგი ვალავანი. ასეთი აღმოსავლეთში - არც სირიაში და არც პალესტინაში არ არის დადასტურებული. თითქოს მიეკუთვნება არის ვალავანი ორმაგი, იმიტომ, რომ გარეთა სინესტისაგან იცავდა შიგნით, სხვა ახსნა ჯერჯერობით არ გვაქვს. ეს ბაზილიკა, ჩემი აზრით უფრო ადრე არის აშენებული, მერე ჯვარი იყო აღმართული, გაჩვენებთ იმ ადგილს, ამის შემდეგ ნელ-ნელა აშენებდნენ ბაზილიკას, მაგრამ საინტერესო იცით, რა არის? ბაზილიკაში ნავის ტერიტორიაზე იყო ეპისკოპოსის საჯდომი, მის გვერდით სასულიერო პირებისა. ასეთი რამ მცხეთის ჯვარზეა, დადასტურებული. მართალია, ჯვარი ცოტა გვიანდელია, მაგრამ ეს სხვა საკითხია. ამ ბაზილიკის აღმოსავლეთით ცხოვრობდა ურების დიასპორა. ასეთი დიასპორა ჩანდა იქ, სადაც მძლავრი საქალაქო ცხოვრება იყო. ეს ტერიტორიები უნდა იყოს იბერიის. თუ აქ იბერიის სამეფოს არ აქვს ფეხი ჩადგმული, მაშინ გამოდის, რომ აქ არის სირია-პალესტინის ტალღა. ეს არის მესამე საუკუნის შემდგომი პერიოდი“. **ველავან** ამას დამტკიცება უნდა, მაგრამ ამის საშუალება არ გვეძლევა. კარგი იქნება თუ გამოჩნდებიან და გვერდით დაგვიდგებიან ეროვნული პოზიციის მატარებელი ადამიანები“. „ალიონთან“ საუბრისას პროფესორმა **მერაბ ძნელაძემ** კი ყურადღება გაამახვილა ტერიტორიის შემოღობვაზე, არქეოლოგიური ნიმუშების პირუტყვისაგან დაცვის მიზნით. მისი აზრით, შემდგომი კვლევებისთვის, ასევე საჭიროა მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების (ყოფილი ჩაის ფაბრიკის საერთო საცხოვრებლის) აღება, ხოლო ერთ-ერთში საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრის განთავსება. ექსპედიციის წევრები მადლობას უხდებიან მუნიციპალიტეტის მერს **კონ-**



სტანტინე შარაშენიძე და მის წარმომადგენელს სოფელ გურიანთაში **გაფასიშვილს** არქეოლოგიური სამუშაოების ხელშეწყობისთვის. **P.S.** კარგი იქნება თუ გაისად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყოფა

გარკვეული ხარჯები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების ხელშეწყობაზე. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით ასეთი პრაქტიკა უკვე არის სამეგრელოს მუნიციპალიტეტში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

დეპუტატმა მარიკა ჩხიკვიშვილმა დეპუტატ ღვინო მუხრანაძეს „ორიანი დაუწერა“



ვაჭრობა უნდა მოწესრიგდეს, მაგრამ გურიის ქუჩაზე ოზურგეთის მერმა რომ კორუფციული ვზით გამოიყიდა „მაგნიტის“ გვერდით მდებარე მუნიციპალიტეტის ქონება, ხოლო შემდეგ ნათესავზე გადააფორმა და იქედან გამოყარეს ადამიანები, არ მისცეს ვაჭრობის უფლება, დაულპათ ათასობით ლარის პროდუქცია, მოქალაქეებს პრობლემები შე-

უქმებით, თქვენთვის ეს არაფერს ნიშნავს? ახლანდელმა მერმა კორუპციული ვზით წინა მერსაც კი გაუსწრო. ჩვენი მოყვანილია, ყველა რესურსი გამოვიყენეთ, ის დაგვეცვა — ხმამაღლა გამოხატავდა ემოციებს მუხრანაძე.

— გვაცალეთ, დავით, ჩვენ და მოვიყვანთ უკეთესს, — უთხრა მუხრანაძეს „ქართული ოცნების“ დეპ-

უტატმა გელა არიშიძემ.

— თქვენმა მოყვანილმა მერმა არაფერი არ დატოვა ოზურგეთში. ცენტრალური სკვერებიდან შეიყიდა ყველაფერი. მუხრანაძის კიბე და ტუალეტიც გაყიდულია. ჩვენ ეს მოვიყვანეთ, მაგრამ დაემსგავსა მას და უნდა, გაასწროს — ერთმანეთს ეგვიბრებინ, — განაცხადა მუხრანაძემ.

— დაჯექი! ორიანი! — მიმართა მუხრანაძეს „ქართული ოცნების“ დეპუტატმა მარიკა ჩხიკვიშვილმა, რასაც დეპუტატების მხრიდან სიცილი მოჰყვა.

— „როგორ გაყიდა თავი? ახლა უწერს „ორიანი“ შარაშენიძეს და არჩევნებზე როგორ უჭერდა მხარს“, — ხუმრობდნენ მუხრანაძეზე დეპუტატები.

გარე ვაჭრობის რეგულირების თემას დეპუტატებმა შენიშვნების გათვალისწინებით დაუჭირეს მხარი. საკრებულომ არ მისცა თანხმობა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ

დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება.

ამ პროექტზე კარგა ხანია მიმდინარეობს მსჯელობა, იყო მხარდაჭერები, რომელსაც უცხოური დონორი ორგანიზაციების დახმარებით „გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი“ „საქართველოს დემოკრატიულ კავშირთან“ პარტნიორობით ახორციელებს.

დასჯენა აღნიშნულ საკითხზე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ეროდი გორდელაძემ წარმოადგინა.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებული იყო დასახლების საერთო კრების შექმნისა და საქმიანობის გამარტივება, (კონკრეტულ შემთხვევაში დაბა ლაითურსა და ნასაკირალში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 2 000 აღემატება), კერძოდ, საერთო კრების მოწვევის ინცია-

ტივის მხარდაჭერი ხელმოწერების არანაკლებ 5 %-იანი ზღვარის 1 %-მდე დაყვანა და საერთო კრების ლეგიტიმურად ცნობისათვის საჭირო დამსწრე წევრთა რაოდენობის არანაკლებ 20 %-იანი ზღვარის 5 %-მდე შემცირება.

როგორც ეროდი გორდელაძემ განმარტა, კანონმდებლის მიერ დადგენილია, რომ იმ დასახლებაში, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება, მუნიციპალიტეტის საკრებულო უფლებამოსილია 85-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საერთო კრების უფლებამოსილებები, მისი მოწვევისა და საქმიანობის წესი განსაზღვროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით. იგი არ შეესაბამება და წინააღმდეგობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-3, მე-15, 85-ე მუხლების შესაბამის პუნქტებთან.

კომისიამ არ დაუჭირა მხარი წარმოდგენილ პროექტს. საკრებულომაც შესაბამისი პოზიცია დააფიქსირა.

„კომპანია „სამი ძმა“ ბინძური ხერხებით ცდილობს თავის დამკვიდრებას მდინარე სუფსაზე“

„ალიონი“ სხვა კომპანიების საქმიანობითაც დაინტერესდა



ალიონი. ამ სათაურით, 3 აგვისტოს, გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ თავმჯდომარე ირმა გორდელაძემ ფეისბუქგვერდზე „გადავარჩინოთ გურიის მდინარეები“ ეს პოსტი გაავრცელა:

„ჯერ იყო და სოფელ სილაურის და ბაილეთის მოსახლეობას დამალა და ყრილობაზე არ მოვიდნენ. მერე დადიან სოფლებში ე.წ. „მაყურებლები“ და ხალხის მოსყიდვა-გაჩუქებას ცდილობენ „ეკოს“-ს გარეგნობაში ადამიანებს. ცდილობენ ჩვენს დისკრიმინაციას. კომპანია „ქიუ-ემ-სის“ რატომ არ ებრძვიან? გაცხადებენ ალბათ ამ კომპანიას როგორ გადაუკვეთთ კარიერი და ვაკონტროლებდით. მერე ამ კომპანიამ, რომელიც ავტობანს ამარაგებს მემორანდუმით გააფორმა 4 სოფელთან და მილიონიან ინვესტიციას დებს. რომ არ დაევაბრალონ წარმოებას და შენებას ებრძვიან, ეს ერთი კომპანია დაავტოვეთ მონიტორინგის ქვეშ. მდ.სუფსას არ აქვს ამდენი ნატანი რომ ავტობანის მშენებლობაზე დახარბებული ყველა კომპანია აიტანოს, მითუმეტეს „სამ ძმას“ არ აქვს დოკუმენტაცია კანონიერების ფარგლებში და სოფლებმაც უარი უთხრა. ავტობანი კარგა მაგრამ მისი მშენებლობა გურიის მდინარეებს შეიწირავს.

ამ კომპანიას არც ღირსება გააჩნია და არც კანონიერება. ის უნდა შეჩერდეს.

„ეკოს“ ყოველთვის დაიცავს გურიის ბუნებას და ხალხის უფლებებს. მას მწვავე გურია მართავს. ვაი გეთ ბოლო. არ გაჩერდებით!“

გაზეთი „ალიონი“, რომელიც მოწმეა კომპანია „ნატას“ და „სამი ძმების“ და სოფლების - სილაურისა და ბაილეთის მოსახლეობის დაპირისპირების, მედიასთან კვიშა-ლორდის მოპოვებულთა უხეში დამოკიდებულებით და არა კომენტარების გაკეთებით, ერთგვარი მუქარებით, ამჯერად სოფელ სილაურისა და სოფელ ბაილეთის ტერიტორიული ორგანიზაციების წარმომადგენლებს გონაჯანსოვლს და ზურაბ დარჩიას შევხვდით და ვთხოვეთ კომენტარი:

— ძალიან რთული პერიოდი. თხილის სეზონია და სოფელში სამი თხილის ქარხანა მუშაობს, იქ სილაურელები არიან დასაქმებულნი, გარდა ამისა, მოსახლეობა საკუთარ პლანტაციებში მუშაობს, ამიტომ დღეს 10 კაცი მოვიდა სუფსის ჭალაში კომპანია „სამი ძმების“ მუშაობის დაწყების გასაპროტესტებლად. ხალხს არ უსმენენ, დანიშნულ შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. ჩვენ ხელისუფლების წარმომადგენლები ვართ და მოსახლეობა ჩვენთან მოდის პრეტენზიებით. ამიტომ ამ ხალხის ინტერესებს დავიცავთ.

რაც შეეხება „ქიუ-ემ-სის“, მათ მემორანდუმით გააფორმეს 4 სოფელთან და იმედია ვალდებულებას შეასრუ-

ლებენ. — გვიხარა გონაჯანსოვლმა.

— „ქიუ-ემ-სიმ“ მემორანდუმით გააფორმა 4 სოფლის მოსახლეობასთან, თუმცა მათ დანაპირების შესრულებასაც ვაკონტროლებთ სჭირდება. ახლა კომპანია „სამი ძმები“ ახალსოფლის (ბაილეთის თემი) მოსახლეობის ძირითადი საარსებო წყაროს — საყანე ფართობებიდან 50-60 მეტრში მუშაობენ. არადა, ეს ფართობებიც თავის დროზე მიღება-ჩაბარების აქტებით მოსახლეობას ეკუთვნოდა. შემდეგ მოვიდნენ ქვიშა-ლორდის მოპოვებლები და არსებული შედეგი მივიღეთ. 100 მეტრზე მაინც უნდა იყოს დაშორებული კარიერი საყანე ფართობებიდან. მოვიდნენ კომპენტრტური ორგანიზები: გეოლოგები, ჰიდროლოგები და აგვისხნან რატომ აღარაა ჭებში წყალი, დავკარწმუნონ, რომ მოსახლეობის საყანე ფართობებს ადიდებული მდინარე არ წაღვკავს. მისცენ ხალხს გარანტიები. მე როგორ დავარწმუნო მოსახლეობა, რომ რაც ხდება, ეს კარგია. მე ჩემი ხალხის გვერდით ვდგევარ და მათ ინტერესებს დავიცავ. — გვიხარა ასევე ზურაბ დარჩიამ.

გარემოსდაცველებმა, მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა და სამართალდამცავებმა მეექვსედ ამოიყვანეს კომპანია „სამი ძმების“ ექსკავატორი მდინარე სუფსიდან.


გაზეთი „ალიონი“ ცდილობს დაუკავშირდეს კომპანია „სამი ძმების“

დამფუძნებლებს, რათა დაეცვათ სარედაქციო სტანდარტი, მკითხველს ამ კომპანიის პოზიციაც მივწოდოთ, მაგრამ მათთან დაკავშირება არ ხერხდება.

რედაქცია ასევე დაინტერესდა ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა, კომპანია „ქიუ-ემ-სის“ და „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთის“ დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით, რომელსაც ოზურგეთის მერთან ერთად ბაილეთის, სილაურის, კონჭკათის და ჯუმათის მაჟორიტარი დეპუტატებიც უნდა აწერდნენ ხელს, მაგრამ საჯარო ინფორმაცია ჯერ არ მიგვიღია და დეტალებზე ვერ მოგახსენებთ.

კომპანია „ფოლათ იოლ იაფი სანაი ვე თიჯარეთის“, იგი ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საგზაო სამშენებლო მასალების მწარმოებელი ობიექტების (ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი სააქქრო, ბეტონის სააქქრო და მობილური ტიპის ასფალტის ქარხნის აგებას გეგმავს, რაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილის ნინო თანდილაშვილის წერილით 437/01;08.05.2020 წ.) გავიგეთ, რომელიც ახლახან გამოაკრეს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე, თუმცა სად უნდა მოეწყოს ეს საწარმო: ბაილეთში, სილაურში თუ სხვაგან, ამ წერილში მითითებული არ არის (!)

ფრთხილად, ამ ძვის სროლაში პარჯიშობენ!



ალიონი. ეს მოსაცდელი ანასულის ზღვ კომპანია მდებარეობს. როცა მის ჩალწვილ სახურავს ფოტოაპარატით ვაფიქსირებდით, ვიღაც უცნობი გაიხურა, რამდენიმე დღის განმავლობაში თავს მწვიფი რომ იყო, მაშინ დაინეტეა. ნასავამი ჩანდა და არ შეგკამთებოდა, არც სხვისთვის ვეკითხავს, რა მოხდა, რადგან არაფერს ვეცდოდა. ისედაც კარგად ჩანს, რომ აქ ვიღაცები ქვის სროლაში ვარჯიშობენ და უკვე მიზანად საკმარისი რაოდენობა აქვთ. ასე რომ, თუ ვინმე სამარშრუტო ტრანსპორტს ამ მოსაცდელთან ელოდება, ვურჩევთ, უსაფრთხოების მიზნით, მინიმუმ მოტოციკლის ჩაფხუტი მაინც დაიხუროს.

თითოეულ ბავშვზე გაიცემა 200 ლარიანი დახმარება

თვითდასაქმებულები, რომელთაც ვერ წარმოადგინეს სრულყოფილი დოკუმენტაცია, სექტემბრამდე მიიღებენ 300 ლარიან დახმარებას. კომუნალურ ხარჯებს კიდევ 4 თვის განმავლობაში (ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში და თებერვალში) სახელმწიფო დაუფარავს თითოეულ აბონენტს, რომელიც მოიხმარს 200 კვტ/სთ-მდე დენს და 200 მ-მდე გაზს. სტუდენტებს 150 000 სოციალურ ქულამდე, სახელმწიფო ნახევარი წლის სწავლის საფასურს დაუფინანსებს; ხოლო სტუდენტებს 150 000 სოციალურ ქულამდე, რომელთაც სტატუსი აქვთ შეჩერებული სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სახელმწიფო დაუფინანსებს 1 წლის სწავლის ღირებულებას.



ვინ ლობობს ტოქსიკურად საუბრი საჯაროს პროექტს?



ალიონი. გაზეთი „ალიონი“ თითქმის ერთი თვეა სწავლობს ქ. ოზურგეთში, ექადაის მკვიდროდ დასახლებულ უბანში მეორადი ნე-დღეულისაგან ალუმინის სხმულების საწარმოს მშენებლობის შესახებ სკოპინგის ანგარიშს. სკოპინგის ანგარიშის მიხედვით საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი 34 მეტრში, 120 მეტრში ჩამოდის მდინარე აჭისწყალი, ხოლო მდინარე აჭისწყლის არხი 55 მეტრში. ყველაზე საყურადღებო, რაც სკოპინგის ანგარიშში არ არის აღნიშნული და რაც სამინისტროებს შორის ნაკლებ კოორდინაციაზე მიუთითებს, ეს ქ. ოზურგეთში, ანასულის დასახლებაში, საქართველოს კავშირისგან წყალ-მომარაგების კომპანიის 7 მილიონიანი პროექტი. **აღნიშნული პროექტით ჭაბურღილი და საძირკველი, ალუმინის სხმულების საწარმოს საპროექტო ტერიტორიიდან 35-40 მეტრში უნდა აგებდნენ (?), რაც არანაირად არ ჯდება ქვეყნის მთავარი საპროექტო სტანდარტებისა.**

კოლეჯი „პორიზონტი“ 2020 წლის უმაღლესი უამრავი სიასლით ხვდება

კოლეჯი „პორიზონტი“, სადაც სამედიცინო მიღება მიმდინარეობს, ღია კარის დღე გაიმართა. როგორც აქ ითქვა, პროფესიული განათლების მიღების მსურველებს შესაძლებლობა აქვთ დაუფლონ შრომის ბაზარზე მოთხოვნილ შემდეგ პროფესიებს: ელექტრობა, თბის მომსახურება, კულინარიის ხელოვნება, სამკერვალო წარმოება, სკოლაში აღზრდა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლაშემდგომ-აღზრდაში), ბუღალტრული აღრიცხვა (მისანიჭებელი კვალიფიკაცია უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში). პროფესიულ განათლებაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში, სამედიცინო მიღებად, კოლეჯი „პორიზონტი“, ინტეგრირებული პროგრამების განხორციელებით, სწავლების ახალ შესაძლებლობას სთავაზობს საბაზო განათლების მქონე პირებს. აღნიშნულ პროგრამებზე სწავლის დასრულების შემდეგ, კურსდამთავრებულები სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებენ, რაც მათ მისცემთ შესაძლებლობას, სურვილის შემთხვევაში, სწავლა განაგრძონ უმაღლეს სასწავლებლებში. 2020 წლის მიღებაზე,



კოლეჯი შემდეგ ინტეგრირებულ პროგრამებზე სწავლებას სთავაზობს სტუდენტებს: ელექტრობა, რესტორნის მომსახურება, კომპიუტერული ქსელები და სისტემები. კოლეჯი „პორიზონტი“ 2020 წლის შემოდგომის უამრავი სიასლით ხვდება, მათ შორის ახალი ინტეგრირებული და V დონის პროფესიული პროგრამებით. კოლეჯში ყოველწლიურად 300-მდე სტუდენტი სწავლობს, კურსდამთავრებულთა

8 ივლისის №1-1/254 ბრძანების მე-5 მუხლის მოთხოვნებს და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა არ არის წინააღმდეგი აღნიშნული ტერიტორიის სამრეწველო ზონად გამოცხადებისა. პატივისცემით, მუნიციპალიტეტის გამგეობის მოადგილე ალექსანდრე ყველაშვილი.“

ამ წერილს რედაქციის არქივიდან არ ამოვიღებდი, რომ არა რამდენიმე დღის წინ მუნიციპალიტეტის საკრებულოს სადემონსტრაციო დაფაზე გამოკრული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ნინო ტაბატაძის წერილი ოზურგეთის მერიისადმი (№4363/01; 07.05.2020 წ.)

„გაცნობებ, რომ 2020 წლის 1 მაისს, შპს „არერსა მეთაღის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ლიხაურში, მეორადი ნედლეულისაგან ფერადი ლითონების წარმოების საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადება. სკოპინგის განცხადება, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულ იქნა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე...“

საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით ქვეყანაში მოქმედი საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ მე-5 მუხლის შესაბამისად, იკრძალება საჯარო სივრცეში ფიზიკურ პირთა თავშეყრა 10 პირზე მეტი ოდენობით. საჯარო სივრცე არის როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ არსებული ნებისმიერი ადგილი, თუ იგი არ წარმოადგენს კერძო პირთა საცხოვრებელი მიზნებისთვის გამოსაყენებელ ადგილს. რამდენადაც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ვარემოზე შემოქმედების შეფასების პროცესში, ყოველ ინდივიდუალურ პროექტთან დაკავშირებით, სამინისტროს მიერ, სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უნდა იქნეს უზრუნველყოფილი საჯარო განხილვის

ჩატარება, სადაც მონაწილეობის სურვილი შეიძლება გამოთქვას არაერთმა დაინტერესებულმა პირმა. აღნიშნული ზრდის საქართველოში კორონავირუსის გავრცელების რისკებს და ეწინააღმდეგება მთავრობის თანმიმდევრულ პოლიტიკას, რომელიც მიმართულია კორონავირუსის გავრცელების პრევენციისაკენ...“

ამ წერილის დასკვნით წერილში წერია, რომ „ეთხოვთ, უზრუნველყოთ შემოღობვის მიზნით განცხადების განთავსება თქვენი აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ამასთან, კორონავირუსის პრევენციის ღონისძიებების შეზღუდვის გათვალისწინებით, შესაძლებლობის შემთხვევაში, გთხოვთ ინფორმაცია განათავსოთ აგრეთვე სასურსათო და საფთოთა ქსელთან (სადაც არ ვრცელდება აღნიშნული შეზღუდვები) და წარმოადგინოთ დამატებითი ფოტომასალა.“

დავამოხილე საქმიანობის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული **ფორმირებითი შემოწმებისა და მოსაზრებების, შემოწმებითი წარმომადგენლის საპროექტო-ლორის მშენებლობის სამინისტროს მიმართული 2020 წლის 1 ივნისამდე, მისამართზე, ქ. თბილისი, მარშალ გელაშვილის გამზირი №6...**“

კარგად მომზადებული წერილია, მაგრამ... იგი ახლახან გამოაკრეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე, არც ოფიციალურ ვებ-გვერდზე და არც სასურსათო და საფთოთა ქსელთან უნახავს მოქალაქეებს იგი გამოკრული.

დარმაზან შაშიშვილი, პენსიონერი: – ავად ვარ და სულ აფთიაქებში დავდივარ. არსად არაფერი მინახავს რაიმე წერილი ან ანგარიში გამოკრული. მუნიციპალიტეტის შენობაში პანდემიის გამო ვინ შევიშველი. 18 ივლისს, საპროექტო აქტებში ვმონაწილეობდი. ვითხოვთ, მოსახლეობაც ჩვერთოს განხილვებში. ვარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რომ გადაუკუზავნეთ კოლექტიური წერილი, ჯერ პასუხი არ მიგვიღია.

– თქვენი გაზეთის საშუალებით გავიგეთ, რომ მკვე ქარხნის აშენებას აპირებდნენ. ისიც გავიგეთ რომ ექადაის მიწები ლიხაურისათვის გადაუციათ (!!) ისიც ვაფიქსირებ, რომ თქვენი წერილის შემდეგ სოფელ ლიხაურში, გამგეობის შენობაში გამოაკრეს სკოპინგის ანგარიში. არ შეეძლოთ ადგილობრივ ტელევიზიას და გაზეთებში გამოქვეყნებისა? ხალხმა არ უნდა იცოდეს, რას აშენებენ, რას სარგებლობა თუ უარყოფითი შედეგი იქნება? ადრე ჩაის კერძებით და ჩაის ფაბრიკები მუშაობდა. ახლა ტყვიის და ალუმინის ქარხნებს ვაშენებთ? აფრიკაშიც ერთდობან სამიშ ქარხნებს და ახლა იქედან ჩამოტანაობა მთავარი ნარჩენები მაინც დამაინც ოზურგეთში უნდა შემოიტანონ და დაწამონ მოსახლეობა?– ვკითხნა **დ.მ.** რომელმაც სახელისა და გვარის გასაჯაროება არ ისურვა.

საიას დახმარებით ოზურგეთის მოსახლეობამ (72 კაცი) განცხადებით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც წერენ, რომ სამინისტროს მხრიდან არ იქნა უზრუნველყოფილი მოქალაქეთა ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და სკოპინგის დასკვნის გაცემა სამინისტროს მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის სათანადო ინფორმირებისა და რეალური მონაწილეობის პროცესის გარეშე განხორციელდა.

„გაცნობებ, რომ ჩვენ წარმოადგენთ დაინტერესებულ მხარეს, მიგვაჩნია, რომ არსებობს ალუმინის საწარმოს მხრიდან გარემოსა და მოსახლეობაზე უარყოფითი შემოქმედების მნიშვნელოვანი რისკი და მოვითხოვთ, ჩაატაროთ და უზრუნველყოთ ჩვენი ჩართულობა გზშ-ის ანგარიშის განხილვაში, ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკების თავიდან აცილების მიზნით, ვთავაზობთ, საჯარო განხილვა ჩატარდეს ღია სივრცეში სათანადო დისტანციის დაცვით“ (განცხადებას ხელს აწერენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მეცნიერები, ექიმები, იურისტი, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ა.შ.)

გაზეთი „ალიონი“ კვლავ გაგრძელებს აღნიშნული თემის კვლევას.

დათვები ბოში თხილის კლანტაციებს ანადგურებენ

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გობის (შემოქმედის თემი) მოსახლეობა ამბობს, რომ მათ თხილის პლანტაციებს დათვები შეესა „რომლებიც მოსავალს ანადგურებენ და ნარგავსაც გლეჯენ.“

სერგო ბურჭულაძე, „ბუქუქის“ თანამშრომელი: „მდინარე ბუქის გადაღმ მხარეს, ცხინკლაში მატეს 0,6 ჰექტარი თხილის ფართობი. კარგი მოსავალი უნდა მიგვეღო, მაგრამ დათვმა ნარგავი ისე დაგლეჯა, რომ მოსჭრელა. მანამდე ძირს შეიჭრებო.“

სოფიკო ბურჭულაძე, „ჩაქუსას“ მფლობელი: „3 ჰექტარი თხილის ფართობი. მთლიანად გავეინადურა დათვმა. ამს წინათ ხეზე დავვხვდებო. მოსახლეობისთვისაც საშიშია. ჩვენს უბანში 17 ოჯახი ცხოვრობს, ვერ ნახე ოჯახს, ზარალი რომ არ ჰქონდეს.“

ნანა მანაძე, „ჩემს ოჯახსაც „ცხინკლაში“ აქვს 0,5 ჰექტარი თხილის პლანტაცია. მარმან და მარმანის ფართობი იყო პრობლემა, წელს კი დათვების შემოსევა. კარგი მოსავალი იყო, დასვლითი I ტონა თხილი შეიჭრებო დათვებმა.“

ილი ბურჭულაძე, „ბუქუქის“ თანამშრომელი: – „ჩაქუსასთან“, პლანტაციაში, სადაც 8 საათზე დამხვდა დათვი თხილზე გასული. ეს არ მკვარს და ეზო-



შიც შემოვიდა, საღორეს სახურავი გადახდა და ყველაზე უფრო დიდი ღირსი წაიყვანა. როგორ მოვიქცეთ – ცალკე ზარალი და ცალკე უსაფრთხოების პრობლემა გვაქვს. ჩვენ დათვს ვერ მოვკლავთ. ხელისუფლებამ უნდა მიიღოს სათანადო ზომები.

– ძალიან მძიმე მდგომარეობაა. სოფელი გობი მთისწინა სოფელია. აქ შემოსვლის მთავარი წყარო თხილი და ფუტკარია. მასობრივად ჩამოდან დათვები მთიდან და თხილის მოსავალს ანადგურებენ. თუ ხელისუფლებამ სასწრაფო ზომები არ მიიღო, გობლები მოსავლის გარეშე დარჩებიან. ვარემოს დაცვის სწრაფი რეაგირების ვკუთხე უნდა ჩაერთოს აღნიშნული პრობლემის მოგვარებაში – ასეთი კომენტარი გააკეთა სოფელ შემოქმედის მაჟორიტარმა დეპუტატმა **თამაზ ბურჭულაძემ.**

ნიონი ნიჟარაძის პერსონალური გამოფენა ოზურგეთში



ალიონი გასულ ხუთშაბათს, 6 აგვისტოს ოზურგეთის მერაბ ბერძენიშვილის სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში – გალერეაში გაიხსნა ცნობილი ბათუმელი მხატვრის **ნიონი ნიჟარაძის** პერსონალური გამოფენა, რომელსაც გახსნის ცერემონიაზე სატოვანად „არაჩვეულებრივ ზღაპარში მოგზაურობა“ უწოდეს.

„ნატოვი, ესთეტი – მისი გამოფენა სხვანაირი არც შეიძლება იყოს“, „საოცარი ფერწერა და გრაფიკა, ძალიან მხატვრულია მისი ხელოვნება ფერითაც, გამოსახულებითაც...“, „ჩვენს გალერეაში მისი გამოფენა არის ძალიან კარგი ამბავი...“, „ეს არის ჭეშმარიტი ხელოვანი ადამიანი, იშვიათია ერთმანეთს ასე მორგებული გრაფიკა და ფერწერა...“ – ეს მხოლოდ მცირე ფრაგმენტებია იმ ეპითეტებისა, რომელიც გამოფენაზე უხვად ამოთქვეს ხელოვნებათმცოდნეებმა და მხატვრებმა – სახვითი ხელოვნების ოსტატებმა.

როგორც ქალბატონმა ნინომ მოკრძალებით აღნიშნა, სიტყვა დიდად არ ეხერხება და ცდილობს,

თავისი სათქმელი მხატვრობით გადმოსცეს. აქ გამოფენილია მხოლოდ პანდემიის დროს, ანუ სამი თვის განმავლობაში შექმნილი ნამუშევრები, რომელსაც ავტორმა არტპანდემია შეარქვა.

ნიონი ნიჟარაძის პერსონალური გამოფენა ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში 24 აგვისტომდე გასტანს.

ნიონი ნიჟარაძე:

დაიბადა 1945 წლის 24 აპრილს, ქალაქ ბათუმში.

1964 წელს დაამთავრა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის საშუალო სასწავლებელი, 1971 წელს – თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტი, კინოსა და ტელევიზიის მხატვრის სპეციალობით.

1974 წლიდან არის საქართველოს(სსრკ) მხატვართა კავშირის წევრი.

1974-1981 წლებში მუშაობდა ბათუმის ნ. კანდელაკის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში პედაგოგად.

1982-1987 წლებში იყო ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვარი.

1982 წლიდან არის საქართველოს თეატრალური საზოგადოების წევრი. თოჯინების თეატრთა საერთაშორისო ასოციაცია **UNIMA**-ს წევრი.

1986 წელს დააფუძნა აჭარაში პირველი ბავშვთა ხელოვნების სტუდია „მთიები“.

1995 წლიდან აჭარის ხელოვნების მუზეუმის დირექტორია.

2018 წლიდან – ხელოვნების მუზეუმის მმართველი.

1996-2020 წლიდან – ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო

უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების დეპარტამენტის პროფესორი.

არის ბათუმის საპატიო მოქალაქე.

მნიშვნელოვანი

ჯგუფური გამოფენები:

პოლონეთი – 1972 წელი, კატოვიცე

ესტონეთი – 1978 წელი, ტალინი

რუსეთი – 1981 წელი, მოსკოვი

თურქეთი – 1996 წელი, სტამბოლი.

პერსონალური გამოფენები ბათუმში:


1986; 1995; 2000; 2003; 2005; 2010; 2014; 2015; 2017; 2018; 2020.

ბათუმის თოჯინების

თეატრში განხორციელებული სამხატვრო სპექტაკლების სია:

ა. ჩუპოვიცი – „ხუმარა მიციკი და წრუწუნა კიციკი“, 1982; ა. პოპესკუ – „მზის სხივი“, 1982; ბ. ნარეელიშვილი – „ზარმაცი კილო“, 1982; მ. სუპონინი – „ბუტია“, შ. პერო – „წითელქუდა“, 1983; გ. სეფისკვერაძე – „წიქარა“, 1983; ვ. დლონტი – „თოვლის დედოფალი“, 1984; ე. სპერანსკო – „უჩვეულო შეჯიბრი“, 1984; დ. ურბანი – „ყველა თავუნას უყვარს ყველი“, 1984; ა. პოპესკუ – „ცისფერი ზღარბი“, 1984; ი. ზლატოპოლსკი – „პინგვინის დაბადების დღე“, 1984; თ. მეტრეველი – „ბუ და აბლაბუდა“, 1985; ბ. აბრელოვი – „ჩიმი“, 1986; გ. ჭიჭინაძე – „ისფერა“, 1986; ა. სულაკაური – „ჯადოსნური კაბა“, 1986; ს. მიხალკოვი – „სამი გოჭი“, 1987.

მხატვრის ნამუშევრები დაცულია აჭარის ხელოვნების მუზეუმში და კერძო კოლექციებში.



თამარ მდინარაძეს ვულცავთ ქალის როლის საუკეთესოდ უმსრულებლის ტიტულს

„გილოცავთ კიდევ ერთხელ! ავჯივარად საპარტიველოს გასუბაბით მიღწეულ წარმატებას - ქალის როლის საუკეთესოდ უმსრულებლის ტიტულს! სამხატვრო „კონცა“ უმსრულებლის ტიტულის ჩემპიონი გახდა - აღიარება ბულგარეთში, უკრაინაში, თურქეთსა და საპარტიველოში“ - ყველგან თამარ მდინარაძის ქალის როლი აღმოჩნდა საუკეთესოდ! გილოცავთ! პანდემია რომ არა ახალი სამხატვროებით და გამარჯვებებითაც ვიამაყვებით. იმედი 153-ე სეზონსაც დიდი წარმატებით დავიწყებთ რეაბილიტირებულ გარემოში“ –**ფერს ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი** საქართველოს ფინანსთა და სპორტის მინისტრის განცხადებით



სასაჩუქრე კალათა ოზურგეთის თეატრშიც დარიგდა

მსოფლიოში არსებული კრიზისიდან და მათ შორის, კულტურის სფეროში წარმოქმნილი შემოკლებებით და ეკონომიკური სტაგნაციიდან გამომდინარე, საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი **დავით ოქიტაშვილი** გამოვიდა ინიციატივით დახმარებოდა კულტურის სფეროს წარმომადგენლებს. მის ინიციატივას გამოეხმაურა არაერთი ქველმოქმედი პირი და ორგანიზაცია. სასაჩუქრე კალათა დარიგდა საქართველოს მასშტაბით. ასეთი ნობათი ოზურგეთის თეატრშიც მოვიდა. მაღლობა ქველმოქმედებს.



7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა
+19+26
10 აგვისტო ორშაბათი

წვიმა
+17+24
11 აგვისტო სამშაბათი

მზე, ღრუბელი
+17+24
12 აგვისტო ოთხშაბათი

მზე, ღრუბელი
+16+20
13 აგვისტო ხუთშაბათი

წვიმა
+16+20
14 აგვისტო პარასკევი

ღრუბელი
+15+20
15 აგვისტო შაბათი

მზე
+15+20
16 აგვისტო კვირა